585
1971/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 9 (368)

1971 წლის სექტემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 9 (368) სექტემბერი 1971 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

146. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

147. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მიწის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.

148. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ცხაკაიას და საჩხერის რაიონებში დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის მდგომარეობის შესახებ.

განყოფილება მეორე

149. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

150. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

151. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

152. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ნ. დვალის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

153. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. თუშმალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

154. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ს ტრაპაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

155. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ვ. ქოჩლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

156. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ი. ჩილაჩა-

11672

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

157. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. გ. ჩუბინიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

158. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „ალაზნის განთიადის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

159. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „კოლმეურნეს“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

160. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. ბუაჩიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

161. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. ნიჟარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

162. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის თ. ფ. დავითაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

163. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ვ. მაღლაკელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

164. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ვ. დადიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

165. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. გ. ლოლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

166. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. ნადარეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

167. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ი. პოლიაკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

168. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ი. ჩხიკვიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

169. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომკავშირული ორგანიზაციების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიაში.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

146 საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 6 თებერვლის ბრძანებულებით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1956 წ. № 2, მუხ. 19) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

დებულების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა აღიმართება ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულების, ორგანიზაციის და რესპუბლიკური თუ ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოს შენობებზე 25 თებერვალს, 8 მარტს, 22 აპრილს, 1 და 2 მაისს, 9 მაისს, 7 და 8 ნოემბერს და 5 დეკემბერს. ნებადართულია, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა აღნიშნულ შენობებზე და, აგრეთვე, საცხოვრებელ სახლებზე აღიმართოს სხვა დღესასწაულებისა და საზეიმო ვითარების დღეებშიც“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 30 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

147 საქართველოს სსრ მიწის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ

„საქართველოს სსრ მიწის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1971 წლის 13 ივლისის კანონის („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1971 წ. № 7 მუხ. 124) თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მიწის კოდექსის შესაბამისად საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანამდე მოქმედებაში რჩება საქართველოს სსრ მიწის კანონმდებლობის ის აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან აღნიშნულ კოდექსს.

2. საქართველოს სსრ მიწის კოდექსი გამოყენებული უნდა იქნეს იმ საადგილმამულო სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშობა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ესე იგი 1971 წლის 1 ნოემბრიდან.

3. თუ საქართველოს სსრ მიწის კოდექსით გათვალისწინებული წესი ადრე დადგენილი იყო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლობის საფუძვლებით, იგი გამოყენებულ უნდა იქნეს საფუძვლების შესაბამისი წესის საძოქმედოდ შემოღების დღიდან.

4. 1971 წლის 1 ნოემბრამდე გაცემული ნებართვა მიწის ნაკვეთებზე საგამოკვლევო სამუშაოების ჩასატარებლად ძალაშია ამ ნებართვით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

5. მუამდგომლობას მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ, თუ იგი განხილული არ ყოფილა კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე, გადაწყვეტენ კოდექსის 13-14 მუხლში მითითებული ორგანოები კოდექსით გათვალისწინებული წესისა და პირობების დაცვით.

შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის გამოყოფის ან ჩამორთმევის შესახებ, რაც მიღებულია მათი კომპეტენციის ფარგლებში 1971 წლის 1 ნოემბრამდე, მაგრამ არ არის შესრულებული კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე, აღსრულებულ უნდა იქნეს კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

6. კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე გამოყოფილი მიწის ნაკვეთით სარგებლობის ვადებს აგრძელებენ ორგანოები, რომლებსაც კოდექსის შესაბამისად აქვთ ამ მიწის ნაკვეთების გამოყოფისა ან ჩამორთმევის უფლება.

7. 1971 წლის 1 ნოემბრამდე წარმოშობილ საადგილმამულო სამართლებრივ ურთიერთობათა გამო კოდექსი გამოყენებული უნდა იქნეს იმ უფლებებისა და მოვალეობების მიმართ, რომლებიც წარმოიშობა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, გარდა ამ ბრძანებულების მე-3-4-5-6 მუხლებით დადგენილი გამონაკლისებისა.

8. კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე გამოყოფილი საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და საბოსტნე მიწის ნაკვეთები რჩება მიწათმოსარგებლეებს ადრე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობით.

9. საჩივრები და განცხადებები საადგილმამულო დავათა გამო, რომლებიც არ ჯადაწყვეტილა კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე, გადაწყვეტილი უნდა იქნეს კოდექსის 138-ე—155-ე მუხლებით გათვალისწინებული წესისა და პირობების დაცვით.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს სსრ მიწის კოდექსთან მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 30 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

148 ცხაკაიას და საჩხერის რაიონებში დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ცხაკაიას და საჩხერის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებენ დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის მიზნით. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საგზაო მშენებლობისა და კეთილმოწყობის მუდმივ კომისიებს სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე განსახილველად დეპუტატების მონაწილეობით შეაქვთ კეთილმოწყობის მდგომარეობის საკითხები და ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს.

ცხაკაიას რაიონული საბჭოს აღმასკომმა გასულ და მიმდინარე წელს 13-ჯერ განიხილა საკითხი დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის შესახებ, ხოლო საგზაო მშენებლობისა და კეთილმოწყობის მუდმივმა კომისიამ 5-ჯერ შეამოწმა აღნიშნული საკითხი. ასევე რეგულარულად იხილავენ კეთილმოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს საჩხერის რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოები და მათი აღმასკომები.

ცხაკაიას რაიონში გასულ და მიმდინარე წელს გაყვანილი იქნა საერთო სიგრძის 41 კილომეტრი ახალი წყალსადენი. კაპიტალურად შეკეთდა 8 ხიდი, კეთილმოწყობილ იქნა 35 კილომეტრი სოფლის შიდაგზა. წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ეზოებში და გზების გასწვრივ დაირგო 188.696 ძირი ხე.

საჩხერის რაიონში კეთილმოწყობილ იქნა 30 კილომეტრი გზა. დეპუტატების ინიციატივით და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით მივენახეობის საბჭოთა მეურნეობის ცენტრში მოეწყო ტყე-პარკი. სოფელ ცხამში გაყვანილი იქნა სასმელი წყალი, რაიონის ტერიტორიაზე დაირგო 140 ათასზე მეტი მწვანე ნარგავი, კეთილმოწყობილ იქნა ეზოები, ჩატარდა სანიტარიული დასუფთავება და სხვა. მეტი ყურადღება ექცევა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სათანადო პროექტებით უზრუნველყოფისა და მშენებლობის საქმეს.

გასულ და მიმდინარე წელს ცხაკაიას რაიონში 219-მა, ხოლო საჩხერის რაიონში 182 კოლმეურნემ და მუშა-მოსამსახურემ აიშენა კაპიტალური საცხოვრებელი სახლი. ცხაკაიას რაიონის უშაფათის, ნოსირის, ფოცხოს და ზოგიერთი სხვა სასოფლო საბჭოები სრულად იყენებენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს; ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის საბინაო-კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი თანხების გაერთიანებასა და მიზანდასახულად ხარჯვას. სოფლის განაშენიანების გენერალური გეგმა შედგენილი აქვთ ზანის, ფოცხოს, ახალი სენაკის და ნოსირის სასოფლო საბჭოებს.

ამასთან ერთად, ცხაკაიას და საჩხერის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს გააჩნიათ ნაკლოვანებანი სოფლებისა და ქალაქის კეთილმოწყო-

ბის საქმეში. ზოგი სასოფლო საბჭო არასრულად იყენებს არსებულ საშუალებებს, ამის შედეგად ბევრი დასახლებული პუნქტი კეთილმოუწყობელია. არასათანადო ყურადღება ექცევა გზების, ხიდების შეკეთებას და მშენებლობას, მწვანე ნარგავების გაშენებას. ადგილი აქვს სანიტარული წესების დარღვევას როგორც ცხაკაიას, ისე საჩხერის რაიონში.

კეთილმოუწყობელია ცხაკაიას რაიონის სოფლები ძველი სენაკი და მენჯი. მიუხედავად იმისა, რომ რაიონული საბჭოს აღმასკომმა მიმდინარე წელს 3-ჯერ განიხილა გზების კეთილმოწყობის საკითხი, დღემდე თეკლათის კოლმეურნეობას, ნოსირის მეფრინველეობის ფერმას და ჭალადიდის ეთერზეთოვან საბჭოთა მეურნეობას არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ გზების მშენებლობაში. მთლიანად რაიონს საგზაო მშენებლობის მიმდინარე წლის გეგმა მხოლოდ 39,7 პროცენტით აქვს შესრულებული. უმრავლესი სოფლების შიდაგზები სავსებით კეთილმოუწყობელია.

საჩხერის რაიონის ცხომარეთის და ქორეთის სასოფლო საბჭოების ტერიტორიებზე გზები კეთილმოუწყობელია, დასახლებული პუნქტები ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, ხოლო ხიდბოგირები საჭიროებს გადაუდებელ რემონტს. ასევე გზების კეთილმოუწყობლობის გამო ავტოტრანსპორტი არ დადის რაიონის ცენტრიდან დიდი მანძილით დაშორებულ სოფლებში მოხვში, ცხამში და ზოგიერთ სხვა დასახლებულ პუნქტში.

როგორც ცხაკაიას, ისე საჩხერის რაიონში ნაკლები ყურადღება ექცევა სოფლების კეთილმოწყობისათვის თვითდაბეგვრის თანხებისა და ადგილობრივი საშენი მასალის გამოყენებას (ცხაკაიას რაიონის ნოსირის, ახალსოფლისა და ხორშის სასოფლო საბჭოები; საჩხერის რაიონის ჭალის, ჯალაურთის, კორბოულის, გორისის და ზოგიერთი სხვა სასოფლო საბჭოები).

საჩხერის რაიონში გასულ წელს სოფლების კეთილმოწყობაზე უნდა დახარჯულიყო 42.810 მანეთი, ფაქტიურად დაიხარჯა 18.500 მანეთი ანუ 43,2 პროცენტი.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ საჩხერის რაიონის არცერთ სასოფლო საბჭოსთან შექმნილი არ არის საგზაო მშენებლობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისია, ხოლო რაიონულ საბჭოსთან შექმნილი მუდმივი კომისია არადამაკმაყოფილებლად მუშაობს.

დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის საქმეში ორივე რაიონში ნაკლებად არიან ჩაბმული დეპუტატები და მოსახლეობა, ამასთან ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები სათანადოდ არ ზრუნავენ დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ცხაკაიას და საჩხერის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმსრულებელ კომიტეტებს:

ა) მკვეთრად გააუმჯობესონ დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის საქმე, რეგულარულად შეისწავლონ და სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე განიხილონ დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის მდგომარეობა და გაატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონ საჭირო ღონისძიებები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოებს შორის დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის და ამ საქმეში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები. რეგულარულად გააშუქონ რაიონულ პრესაში სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა და უზრუნველყონ მუშაობის მოწინავე მეთოდების განზოგადება;

გ) უმოკლეს დროში უზრუნველყონ სოფლის შიდაგზების კეთილმოწყობა, ხიდებისა და ბოგირების მშენებლობა და რემონტი. ამ საქმეში მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი სამშენებლო მასალები და საშუალებანი. მეტი ყურადღება მიაქციონ მწვანე ნარგავების და ყვავილების დარგვასა და მოვლა-პატრონობას. მიმდინარე წლის ბოლომდე უზრუნველყონ დასახლებულ პუნქტებში სრული სანიტარული წესრიგის დამყარება;

დ) სათანადო კონტროლი დააწესონ კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი თანხების ათვისებისა და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისადმი. უზრუნველყონ თვითდაბეგვრის თანხებით იმ ღონისძიებების გატარება, რომლებიც მიღებულია მოქალაქეთა სოფლის ყრილობების, საერთო კრებების მიერ. კონკრეტული დახმარება გაუწიონ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის ორგანიზაციის საქმეში;

ე) კეთილმოწყობის სამუშაოები, საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობა აწარმოონ დასახლებული პუნქტების განაშენიანების გეგმის სრული შესაბამისობით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს (ამხ. გ. რობიტაშვილი) უფრო მეტი დახმარება გაუწიოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს ტექნიკით და კვალიფიციური სპეციალისტებით ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კეთილმოსაწყობად.

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 30 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

149 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის დროს გამოჩენილი გამბედაობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის** დაჯილდოვდნენ:

1. პეტრე ალექსანდრეს ძე **ბაბიჩი** — ზევადიანი სამსახურის ზემდეგი (სიკვდილის შემდგომ).
2. დავით ივანეს ძე **ბეჟიტაშვილი** — უფროსი სერჟანტი.
3. გარი კონსტანტინეს ძე **ბურჭულაძე** — მილიციის კაპიტანი.
4. ედუარდ გრიგოლის ძე **გიორგაძე** — ინჟინერ-პოდპოლკოვნიკი.
5. ზურაბ სოლომონის ძე **ძინძიბაძე** — ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სამშენებლო-საპროექტო ჯგუფის ტექნიკოსი.
6. გიორგი ივანეს ძე **კალატოზიშვილი** — უფროსი სერჟანტი.
7. ამირან პავლეს ძე **მამულაშვილი** — ინჟინერ-მაიორი.
8. ყარამან ალექსანდრეს ძე **ტატაევი** — პროფესიული სახანძრო ნაწილის უფროსის მოადგილე (სიკვდილის შემდგომ).
9. გიორგი პარმენის ძე **ტეპნაძე** — სადგურ ხაშურის ელმავალთა სალოკომოტივო დეპოს მემანქანე-გამწყობი (სიკვდილის შემდგომ)
10. ნოდარ გიორგის ძე **შარიქაძე** — სადგურ ხაშურის საბაგირო ქსელის მონტიორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 30 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

150 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამოჩენილი გამბედაობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“** დაჯილდოვდნენ:

1. ლეონიდე ილარიონის ძე **მახარაძე** — მახარაძის რაიონის ბოხვაურის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.
2. შოთა ილარიონის ძე **როსტიაშვილი** — მილიციის სერჟანტი.
3. სპარტაკ ალექსანდრეს ძე **სიხარულიძე** — მახარაძის რაიონის ბოხვაურის კოლმეურნეობის მექანიზატორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გიორგი პავლეს ძე **ხონელია** — მახარაძის რაიონის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს ჰიდროტექნიკოსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 30 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

151 საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კულტურის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის** საპატიო წოდება:

1. ეთერ ვლადიმერის ასულ **აბაზაძეს** — ავლაბრის სტამბა-მუზეუმის ლექტორს.

2. პროკოფი მინას ძე **აბაშიძეს** — მეტალურგთა პროფკავშირის ჭიათურის კულტურის სახლის დირექტორს.

3. სიმონ პეტრეს ძე **აბრამიანს** — თბილისის სომხური დრამის თეატრის სადადგმო ნაწილის გამგეს.

4. გურამ ვლადიმერის ძე **აბრამიშვილს** — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგეს.

5. ალექსანდრა გრიგოლის ასულ **არობელიძეს** — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ რედაქტორს.

6. რომეო დიმიტრის ძე **არონიშიძეს** — წიგნით ვაჭრობის რესპუბლიკური გაერთიანება „საქწიგნის“ მმართველს.

7. არამ კარაპეტის ძე **არუთინოვს** — მიკროგრავიურის ოსტატს.

8. რევაზ ნიკოლოზის ძე **ასაევს** — სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს.

9. ქეთევან დავითის ასულ **ბაგრატიშვილს** — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგეს.

10. ნინო ადამის ასულ **ბადლიძეს** — თბილისის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის ამკრეფს.

11. ავთანდილ დავითის ძე **ბარნაბიშვილს** — თბილისის № 17 სტამბის უფროს ოსტატს.

12. სოსო გიორგის ძე **ბახტაძეს** — ცეკავშირის სარეკლამო და მხატვრული გაფორმების სამუშაოთა კომბინატის მთავარ მხატვარს.

13. ნინო ივანეს ასულ **ბენაშვილს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილების რედაქტორს.

14. ნოდარ გრიგოლის ძე **ბენდუქიძეს**—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ტელევიზიის პროგრამების მთავარი რედაქტორის მოადგილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. ოთარ ვლადიმერის ძე **ბერძენიშვილს** — თბილისის ცენტრალური უნივერმაღის მომღერალთა ანსამბლის ხელმძღვანელს.

16. შოთა სპირიდონის ძე **ბიგვავას** — საქვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ზუგდიდის რაიონის გაერთიანებული კომიტეტის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის ხელმძღვანელს.

17. თამარ გიორგის ასულ **ბურდულს** — დუშეთის რაიონის სოფელ ქვეშის კლუბის გამგეს.

18. მირიან სოლომონის ძე **ბუჯიაშვილს** — ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს.

19. ძიხეილ აპოლონის ძე **გაბიძაშვილს** — ბოლნისის რაიონული კულტურის სახლის დირექტორს.

20. რუშნი მიხეილის ძე **გადლიას** — აფხაზწიგნვაჭრობის დირექტორს.

21. თინა ონისიმეს ასულ **გაჩეჩილაძეს** — ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს.

22. ბიძინა ვალერიანის ძე **გეგეშიძეს** — თბილისის კინოთეატრ „საქართველოს“ დირექტორს.

23. ანტისა სამსონის ასულ **გეთიას** — წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარის კულტურის სახლის დირექტორს.

24. რაფიელ მალაქიას ძე **გიორგაძეს** — ჩოხატაურის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს.

25. გურამ ილიას ძე **გოგიას** — თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის განყოფილების გამგეს.

26. მაყვალა ალექსანდრეს ასულ **გოგნიაშვილს** — საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის კულტურის განყოფილების უფროს რეფერენტს.

27. კალისტინა დავითის ასულ **გოგოლაძეს** — საჩხერის რაიონული სახელმწიფო არქივის გამგეს.

28. კონსტანტინე აკაკის ძე **გოგუას** — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის სოხუმის კულტურის სახლის დირექტორს.

29. ალექსანდრე სერგოს ძე **გოგიტიშვილს** — მახარაძის რაიონული კულტურის სახლის დირექტორს.

30. მარგარიტა გიორგის ასულ **გოგოსაშვილს** — ლაგოდეხის რაიონული კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს.

31. ხვითო იოსების ძე **გრიგორაშვილს** — საქართველოს სახელმწიფო კაპელის დირექტორს.

32. გიორგი თევდორეს ძე **გურგენიძეს** — საქართველოს პროფსაბჭოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური სახლის დირექტორს.

33. ნორა პლატონის ასულ **დადიანს** — ცხაკაიას კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს.

34. ალექსანდრე ვალერიანის ძე **დარახველიძეს**—კავშირგაბმულობის მუშაკთა თბილისის კულტურის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელს.

35. ოთარ სიმონის ძე **დარახველიძეს** — აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორის მოადგილეს.

36. გიორგი ვლადიმერის ძე **ერმოლაევს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სატელევიზიო ფილმების სტუდიის განყოფილების უფროსს.

37. ვახტანგ სოლოძონის ძე **ზარდიაშვილს** — კინოგაქირავების გურჯაანის განყოფილების დირექტორს.

38. მარკ იზრაილის ძე **ზლატკინს** — გამომცემლობა „მერანის" მთავარ რედაქტორს.

39. ვასილ გრიგოლის ძე **ზუბიაშვილს** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის საამქროს ოსტატს.

40. გივი სოლომონის ძე **თავაძეს** — ახალციხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს.

41. აკაკი ევგენის ძე **თათარაშვილს** — მცხეთის რაიონული კულტურის სახლის დირექტორს.

42. შოთა ილარიონის ძე **თაყაიშვილს** — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სანერგე მეურნეობის ტრესტის დეკორატორს.

43. გიორგი გიორგის ძე **თელიას** — კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის უფროს მეთოდისტს.

44. ამირან ალექსანდრეს ძე **თითბერიას** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას" აფხაზეთის ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარეს.

45. ჯულეტა ეფრემის ასულ **თოდრიას** — ჭიათურის სტამბის დირექტორს.

46. მარიამ ვლადიმერის ასულ **იმერლიშვილს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" ხმის ტექნიკოსს.

47. ნათელა სიმონის ასულ **ინასარიძეს** — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" რედაქტორს.

48. ქეთევან ნიკოლოზის ასულ **კაკაურიძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის არქივის გამგეს.

49. ალექსანდრე თეიმურაზის ძე **კალატოზს** — თერჯოლის რაიონული კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს.

50. ილია გიორგის ძე **კაპანაძეს** — სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის კულტურის სახლის დირექტორს.

51. ქეთევან რაჟდენის ასულ **კაპანაძეს** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არქივის გამგეს.

52. მიხეილ მიხეილის ძე **კახიძეს** — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სანერგე მეურნეობის ტრესტის დეკორატორს.

53. მედეა გრიგოლის ასულ **კაჭახიძეს** — გამომცემლობა „განათლების" განყოფილების უფროსს.

54. ავთანდილ ვლადიმერის ძე **კენჭაძეს** — ქუთაისის ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის" უფროს ინსტრუქტორ მეთოდისტს.

55. აკაკი ესტატეს ძე **კვიციანს** — მესტიის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს.

56. ფუმფულა ჯემალის ასულ **კობალაძეს** — ბათუმის კინოთეატრ „ინტერნაციონალის" კინომექანიკოსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

57. ჰამლეტ მიხეილის ძე **კობეშავიძეს** — ფ. ძერჟინსკის სახელობის კლუბთან არსებული ახალგაზრდული ანსამბლის ქორეოგრაფს.

58. სერაფიონ მიხეილის ძე **კოპალიანს** — ცაგერის სახალხო თეატრის რეჟისორს.

59. ვასილ სტეფანეს ძე **კულიგინს** — ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროს ინსტრუქტორს კულტურულ-მასობრივი მუშაობის დარგში.

60. ვიქტორ ლუკას ძე **კუპრეიშვილს** — კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის უფროს მეთოდისტს.

61. ენრი ევგენის ძე **ლაქტიონოვს** — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კლუბის დირექტორს.

62. თამარ შერბაკოს ასულ **ლეჟავას** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

63. გიორგი დავითის ძე **ლომინაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ მეთოდისტს.

64. ნიკოლოზ იაგორის ძე **ლუნევს** — სამხედრო დირიჟორს.

65. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე **მანჯგალაძეს** — გეგეჭკორის რაიონის ბანძის კულტურის სახლის დირექტორს.

66. ზურაბ მურადის ძე **მამულაიშვილს** — ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის კულტურის სახლის დირექტორს.

67. ნინო ვლადიმერის ასულ **მარჯანიშვილს** — საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის უფროს რეფერენტს.

68. ევგენი იაკობის ძე **მასს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ხმის ოპერატორს.

69. თამარ გიორგის ასულ **მაჩაბელს** — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ კორექტორს.

70. ტუხა ნიკოლოზის ძე **მაჭავარიანს** — ზესტაფონის რაიონული კულტურის სახლის დირექტორს.

71. ვალერიან ისიდორეს ძე **მახარაძეს** — გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ გამომცემლობისა და სტამბის უფროსის მოადგილეს.

72. პავლე გრიგოლის ძე **მირველოვს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის რადიოტელეცენტრის სამხატვრო-სადადგმო განყოფილების უფროსს.

73. რევაზ გიორგის ძე **მორჩილაძეს** — მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს.

74. ვახტანგ ალექსანდრეს ძე **მჭედლიშვილს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბის გამგეს.

75. მიხეილ ვასილის ძე **ნიკოლეიშვილს** — ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

76. ლილი კირილეს ასულ **ნუცუბიძეს** — მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების უფროს ინსპექტორს.

77. რუსუდან მიხეილის ასულ **ოსმანაშვილს** — საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის უფროს მეცნიერ მუშაკს.

78. ალექსანდრე გიორგის ძე **პარასტაევს** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას" სამხრეთ-ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელ მდივანს.

79. თინა ალექსანდრეს ასულ **უვანიას** — საქართველოს სსრ მთავლიტის უფროს რედაქტორს.

80. ბორის ალექსანდრეს ძე **როგავას** — ზუგდიდის სტამბის მბეჭდავს.

81. არშაკ ოგანეზის ძე **სარჭისოვს** — თბილისის № 2 სტამბის ასოთამწყობს.

82. დავით ვახტანგის ძე **სირაძეს** — მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის კლუბის გამგეს.

83. თალიკო ვლადიმერის ასულ **სულავას** — გეგეჭკორის რაიონული კულტურის სახლის დირექტორს.

84. დავით ივანეს ძე **ტაბიძეს**—სამტრედიის რაიონული კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს.

85. ვასილ ივანეს ძე **ტატულაშვილს** — გორის რაიონის კინოფიკაციის დირექტორს.

86. ივანე ნიკოლოზის ძე **ტუსკაძეს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის დირექტორს.

87. მარგარიტა დავითის ასულ **ურუშაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის რადიომაუწყებლობის პროგრამების დირექციის უფროს რედაქტორს.

88. ტერენტი თომას ძე **ურუშაძეს** — ლანჩხუთის სახალხო თეატრის მსახიობს.

89. არჩილ ამბროსის ძე **ფოჩხუას** — საქართველოს კპ ცკ არსებული პარტიული ინსტიტუტის პარტიული არქივის ინსტრუქტორს.

90. სერგო ივანეს ძე **ფხაკაძეს** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას" ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელ მდივანს.

91. თინათინ შალვას ასულ **ქარუმიძეს** — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგეს.

92. ვერა გიორგის ასულ **ქვათელაძეს** — წულუკიძის რაიონული კულტურის სახლის ინსტრუქტორს.

93. გურამ შალვას ძე **ქველაძეს** — გამომცემლობა „ხელოვნების" მთავარ რედაქტორს.

94. ქსენია მათეს ასულ **ქორიძეს** — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის საექსკურსიო ბიუროს გამგეს.

95. ნელი დომენტის ასულ **ქორქიას** — ფოთის საქალაქო სახელმწიფო არქივის დირექტორს.

96. **გიორგი ვლადიმერის ძე ქუთათელაძეს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრის დირექტორს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

97. ირაკლი ლევანის ძე **ყანდარელს** — გორის საბრძოლო დიდების მუზეუმის დირექტორს.

98. ალექსანდრე ხაჯარათის ძე **შამბას** — სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს.

99. ივანე მიხეილის ძე **შენგელიას** — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ლექტორს.

100. როზა ათანასეს ასულ **ჩაგელიშვილს** — ადიგენის რაიონის სოფელ მოხის კლუბის გამგეს.

101. კონსტანტინე დავითის ძე **ჩალმაზს** — აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორს.

102. ავთანდილ კალისტრატეს ძე **ცირეკიძეს** — კინოგაქირავების ქუთაისის განყოფილების დირექტორს.

103. ვალენტინა ანდრიას ასულ **ცომაიას** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსს.

104. ოთარ ნიკოლოზის ძე **ცქიტიშვილს** — თბილისის პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლის დირექტორს.

105. ელეონორა იოსების ასულ **ცხაკაიას** — ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ მუშაკს.

106. ვალენტინა ივლიანეს ასულ **ძიძიგურს** — გამომცემლობა „ნაკადულის" მთავარ რედაქტორს.

107. ელენე ნესტორის ასულ **წერეთელს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" ფირის დამმუშავებელი საამქროს უფროსის მოადგილეს.

108. პეტრე ივანეს ძე **ჭაბუკიანს** — კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის საქართველოს საზოგადოების ქუთაისის განყოფილების რწმუნებულს.

109. ალექსანდრე გიორგის ძე **ხადურს** — ქანდაკების ჩამომსხმელს.

110. ილია ალექსანდრეს ძე **ხანდამოვს** — კინომექანიკოსთა რესპუბლიკური სკოლის მასწავლებელს.

111. ქეთევან სიმონის ასულ **ხაჩიაშვილს**—საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის მეცნიერ მუშაკს.

112. გიორგი გაბრიელის ძე **ხორგუაშვილს** — კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს.

113. მარიამ გიორგის ასულ **ხუციშვილს** — გორის ი. ბ. სტალინის სახელობის სახლ-მუზეუმის სწავლულ მდივანს.

114. გიორგი სიმონის ძე **ხუჯაძეს** — ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ მუშაკს.

115. ივანე ალექსის ძე **ჯავახიშვილს** — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილეს.

116. ბაიდო ნიკოლოზის ძე **ჯანაშვილს** — წითელწყაროს რაიონის კინოფიკაციის დირექტორს.

117. ეთერ იაკინთეს ასულ **ჯებაშვილს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის" ხმის ტექნიკოსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

118. ზოია თევდორეს ასულ **ჯიბლაძეს** — გამომცემლობა „განათლების“ უფროს რედაქტორს.

119. პლატონ ივლონის ძე **ჯიშკარიანს** — ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 8 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

152 ამხ. ვ. ნ. დვალის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, „საქკონსერვტრესტის“ მმართველის მოადგილე ამხ. ვიქტორ ნესტორის ძე **დვალი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 10 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

153 ამხ. გ. ა. თუშმალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კვების მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „სამტრესტის“ მმართველი ამხ. გიორგი ალექსანდრეს ძე **თუშმალიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 10 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

154 ამხ. ვ. ს. ტრაპაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ვლადიმერ სიმონის ძე **ტრაპაიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 10 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

155 ამხ. შ. ვ. ქოჩლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი ამხ. შალვა ვარლამის ძე **ქოჩლაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 10 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

156 ამხ. შ. ი. ჩილაჩავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, ზუგდიდის № 2 ჩაის ფაბრიკის დირექტორი ამხ. შალვა ილიას ძე **ჩილაჩავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 10 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

157 ამხ. ო. გ. ჩუბინიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კვების მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საამართველოს უფროსი ამხ. ოთარ გიორგის ძე ჩუბინიშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 10 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

158 გაზეთ „ალაზნის განთიადის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისა და სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მათი მობილიზაციისათვის, დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, თელავის რაიონული გაზეთი „ალაზნის განთიადი" დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

11672

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 13 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

159 გაზეთ „კოლმეურნეს" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისა და სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მათი მობილიზაციისათვის, დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, სიღნაღის რაიონული გაზეთი „კოლმეურნე" დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 13 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

160 ამხ. ბ. ნ. ბუაჩიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ამხ. გრიგოლ ნიკოლოზის ძე **ბუაჩიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 13 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

161 ამხ. ა. ნ. ნიჟარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ანდრო ნიკიფორეს ძე **ნიჟარაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 13 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

162 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის თ. ფ. დავითაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორი თეოფანე ფარნას ძე **დავითაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღ ლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 23 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

163 ამხ. ს. ვ. მაღლაკელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საარქივო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან-არსებული საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. სერგო ვარლამის ძე **მაღლაკელიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 23 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

164 ამხ. დ. ვ. დადიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, „სამტრესტის“ გორის ქარხნის სამმართველოს დირექტორი ამხ. დავით ვარლამის ძე **დადიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 24 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

165 ამხ. შ. გ. ლოლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. შალვა გიორგის ძე **ლოლაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1971 წლის 24 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

166 ამხ. გ. ა. ნადარეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საჭადრაკო კომპოზიციის საერთაშორისო ოსტატი გია ანტონის ძე **ნადარეიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1971 წლის 24 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

167 ამხ. მ. ი. პოლიაკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი მიხეილ ივანეს ძე **პოლიაკოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1971 წლის 24 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

168 ამხ. დ. ი. ჩხიკვიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და სამეცნიერო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ამხ. დავით იოსების ძე **ჩხიკვიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1971 წლის 24 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

169 კომკავშირული ორგანიზაციების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, გეგმიურ დავალებათა ვადამდე შესრულებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლების მოსაპოვებლად ახალგაზრდების მობილიზაციის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით, **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ შემდეგი კომკავშირული ორგანიზაციები:

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა
ქ. ჭიათურის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროსი
ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობისა
ქ. ცხინვალის ქარხნის „ვიბრომანქანა“
თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობისა
გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმისა
ენგურჰესის მშენებლობისა
გორის რაიონის სოფელ კარალეთის საბჭოთა მეურნეობისა
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა
თბილგვირაბმშენისა
თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნისა
თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნისა
ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნისა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა
მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობისა
ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნისა
რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 30 სექტემბერი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1971 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე განიხილა ქ. თბილისის ლენინის და კალინინის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში მოქალაქეთა მიღების და მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ქ. თბილისის ლენინის და კალინინის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მნიშვნელოვან მუშაობას ატარებენ მოქალაქეთა მიღების და მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვის, განხილვისა და მათზე დროულად რეაგირების საქმეში. აღმასკომებში დაწესებულია მოქალაქეთა მიღების დღეები და საათები. განცხადებებისა და საჩივრების განხილვა ძირითადად კანონით დაწესებულ ვადებში ხდება.

აღმასკომის სხდომებზე პერიოდულად ისმინენ საკითხს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და აღმასრულებელი კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ. მაგალითად, ლენინის რაისაბჭოს აღმასკომმა გასულ და მიმდინარე წელს ხუთჯერ მოისმინა აღმასკომის სხდომაზე მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა, ხოლო კალინინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა ხუთჯერ შეამოწმა და განიხილა რაისაბჭოს აღმასკომისა და მისი განყოფილებების, სახლთმმართველობების, აგრეთვე რაისაბჭოსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მუშაობა ამ მიმართულებით. გატარებული ღონისძიებების შედეგად, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად გაუმჯობესდა მოქალაქეთა მიღებისა და მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა.

მიუხედავად ამისა ლენინისა და კალინინის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვისა და მათზე რეაგირების საქმეში გააჩნიათ ნაკლოვანებანი.

არის ფაქტები, როდესაც მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა თვეობით ჭიანურდება. ამის შედეგად ირღვევა მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის ვადები, დაწესებული სსრ კავშირის უმაღლესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით — „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“. მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმის არადამაკმაყოფილებლად დაყენების შედეგად დროულად ვერ კმაყოფილდება მშრომელთა კანონიერი მოთხოვნები, რის გამო ისინი იძულებული არიან რამდენჯერმე მიმართონ განმეორებითი საჩივრებითა და განცხადებებით, ან მიაღწიონ თავიანთ კანონიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას ზემდგომი ორგანოების მეშვეობით.

წარმოება-დაწესებულებათა ცალკეული ხელმძღვანელები არ ღებულობენ ზომებს მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების გამომწვევ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კოლექტიური განცხადებები ძირითადად ეხება ბინების, კანალიზაციის, წყალსადენის და ზოგიერთი სხვა ობიექტის ავარიულ მდგომარეობას და სარემონტო სამუშაოებს.

აღმასრულებელი კომიტეტები მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებზე პასუხის გაცემას აჭიანურებენ ზოგჯერ იმ შემთხვევებშიც, როცა განცხადება ან საჩივარი არ საჭიროებს ადგილზე შემოწმებას და დამატებით მასალის შეგროვებას.

არის შემთხვევები, როცა დაგვიანებით იგზავნება პასუხები ზემდგომი ორგანოებიდან და გაზეთების რედაქციებიდან გადმოგზავნილ საჩივრებზე.

მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ აღმასრულებელი კომიტეტების ზოგიერთ განყოფილებას და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელს ჯერ კიდევ არ გაუკეთებია სათანადო დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებიდან.

აღსანიშნავია, რომ მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვაში, აგრეთვე საჩივრების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში ნაკლებად მონაწილეობენ დეპუტატები, მუდმივი კომისიის წევრები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

*

* *

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 625 კაცს მიენიჭა **საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიაში

1971 წლის 3 სექტემბერს შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა ფ. ანანიაშვილმა, შ. ბასილაშვილმა, ი. ტარკილმა, ს. ბროვკინმა, დ. გელაშვილმა, ლ. ისაკაძემ და სხვ.

მუშაობა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ცხაკაიამ.

განხილულ საკითხებზე დასახულია სათანადო ღონისძიებანი.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულებებით რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

ზუგდიდის რაიონში — კახათის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ახალკახათი, ხოლო რუხის სასოფლო საბჭოს — სოფელი ახალი აბასთუმანი და შეიქმნა ახალკახათისა და ახალი აბასთუმნის სასოფლო საბჭოები.

წალკის რაიონში — გაუქმდა ბედიანის სადაბო საბჭოს სოფელი ყარაბულახი მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლებასთან დაკავშირებით.

ხაშურის რაიონში — გაუქმდა ხალების სასოფლო საბჭოს სოფელი ღანძილები და წრომის სასოფლო საბჭოს სოფელი პატარა ხავლეთი მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლებასთან დაკავშირებით.